



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ. „ხვამლი“ - ბათუმის „ბათუმი1“		
გუნდი	თბ. „ხვამლი“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	17/11/2021	მატჩის ადგილი	თბილისი, ხვამლი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	თბ. „ხვამლი“-ს მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	რატი ურუშაძე		
მომჩივანი	მატჩის მეთვალყურე ნ. ელოშვილი, მატჩის მთავარი მსაჯი ლ. ბუთიაშვილი, მატჩის კიდის მსაჯი ი. ხიდაშელი.	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	<p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, მუხლი 5 ქცევის კოდექსი - პუნქტი 5.5 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;</p> <p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2. რეკომენდირებული დისკვალიფიკაციის ვადები ძირითადი არამართებული ქცევისათვის მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.</p>	<input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი საითინგი სხვა	<p>თუ „სხვა“ აღწერეთ :</p>



განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/11/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ.ამირეჯების #6.
თავმჯდომარე	მირიან თვზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები : <input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის ნ. ელოშვილის საითინგი. 18/11/2021 მატჩის მსაჯის ლ.ბუთიაშვილის საითინგი (19/11/2021) მატჩის კიდის მსაჯის ი. ხიდაშელის საითინგი(19/11/2021)		

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მეთვალყურის ნ. ელოშვილის საითინგი (18/11/2021)
2. მატჩის მსაჯის ლ. ბუთიაშვილის საითინგი (19/11/2021)
3. მატჩის კიდის მსაჯის ი. ხიდაშელის საითინგი(19/11/2021)
4. თბ“ხვამლი“-ს მწვრთნელის რატი ურუშაძის 19/11/2021-ში გამოკითხვის აუდიო ჩანაწერი.

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

2021 წლის 19 ნოემბერს, სადისციპლინო კომისიის საქმის წინასწარი განხილვის სხდომაზე, თბ.“ხვამლი“-ს მწვრთნელმა რატი ურუშაძემ აღიარა მატჩის ოფიციალური პირების საითინგში აღნიშნული მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება. რატი ურუშაძის განმარტებით აპელირება გამოწვეული იყო მსაჯის მიერ სათამაშო სიტუაციების არასწორად შეფასებასა და მისი აზრით უსაფუძვლო ჯარიმების დანიშვნით მისი გუნდის წინააღმდეგ.



### ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 17 ნოემბერს გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარული მატჩი თბ.“ხვამლი“-სა და ბათუმის „ბათუმი1“-ს შორის.
2. მატჩის მეთვალყურის ნ.ელოშვილის საითინგის (18/11/2021) მიხედვით, თბ“ხვამლი“-ს მწვრთნელი რატი ურუშაძე თამაშის განმავლობაში აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე რის გამოც მატჩის მსაჯმა ლ. ბუთიაშვილმა ყვითელი ბარათით დაატოვებინა მას სათამაშო არე. ამის მიუხედავად, გარკვეული პერიოდის შემდეგ, რატი ურუშაძემ განაგრძო აპელირება მსაჯის გადაწყვეტილებებზე და არ გაითვალისწინა მისი მხრიდან მრავალგზის მოწოდება და თხოვნა აპელირების შეწყვეტის შესახებ.
3. მატჩის მსაჯის ლ.ბუთიაშვილის საითინგის (19/11/2021) მიხედვით, თამაშის პირველი ნახევრის მეორე წუთიდან თბ“ხვამლი“-ს მწვრთნელმა დაიწყო აპელირება მის გადაწყვეტილებებზე, მიუხედავად მისი გაფრთხილებისა დამშვიდებულიყო, რატი ურუშაძემ განაგრძო აპელირება. ლ.ბუთიაშვილმა ყვითელი ბარათი უჩვენა თბ“ხვამლი“-ს მწვრთნელს რატი ურუშაძეს და დაატოვებინა სათამაშო არე, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ რატი ურუშაძე დაბრუნდა სათამაშო არეში და განაგრძო მის გადაწყვეტილებებზე აპელირება.
4. მატჩის კიდის მსაჯის ი. ხიდაშელის საითინგის(19/11/2021) მიხედვით, თამაშის დაწყებიდან ორ წუთში, თბ“ხვამლი“-ს მწვრთნელმა რატი ურუშაძემ დაიწყო მატჩის მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირება. მატჩის მთავარმა მსაჯმა ლ.ბუთიაშვილმა მოუწოდა მას დაეტოვებინა სათამაშო არე რასაც რატი ურუშაძის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. მსაჯმა რატი ურუშაძეს უჩვენა ყვითელი ბარათი და დაატოვებინა სათამაშო არე, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ რატი ურუშაძე დაბრუნდა სათამაშო არეში და განაგრძო აპელირება.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

### სანქციების პროცედურა

#### დარღვევის სიმძიმის შეფასება

1. სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით.
2. სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო მატჩის ოფიციალური პირების საითინგებში აღნიშნული გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, რომ თბ“ხვამლი“-ს



მწვრთნელმა რატი ურუშაძემ გაფრთხილების და ყვითელი ბარათის მიღების მიუხედავად კვლავ განაგრძო მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირება და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით, რატი ურუშაძის დისციპლინარული დარღვევა (მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება) შეაფასდა როგორც სერიოზული.

3. სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელის, რატი ურუშაძის, სუფთა სადისციპლინო ისტორია, მისი დადებითი რეპუტაცია, მოსმენისას მის მიერ დისციპლინარული დარღვევის აღიარება.
4. სადისციპლინო კომისიამ, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით, მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების სიმძიმის სერიოზულად შეფასებისას განსაზღვრული დისვალიფიკაციის ვადებიდან, შეუფარდა უმცირესი.

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2(ორი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	23/11/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	10/12/2021 (ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მიმდინარე გრაფიკის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისვალიფიცირებულ პიროვნებას, დისვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეში, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის ჯარიმის გადახდის ვადა	არა
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	არა

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	22/11/2021
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72(სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.